პროგრამის სახელწოდება: საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი - PhD. MD. ასოცირებული პროფესორი ნინო ოთარიშვილი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საექთნო საქმის ბაკალავრი - Bachelor of Nursing (B.N.)
სწავლების ენა: ინგლისური
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე „საექთნო საქმე“, ჩარიცხვის უფლება ეძლევა, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირების, ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა, ინგლისურ ენაზე ტესტირების გავლა ან ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა (არანაკლებ B1 დონისა).

პროგრამის სტრუქტურა

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა არის 4-წლიანი, შესაბამისად 8 სემესტრიანი. სწავლება მოიცავს 240 კრედიტს (232 კრედიტი - სავალდებულო, სპეციალობის კურსები და 8 კრედიტი - თავისუფალი არჩევითი კურსები);

224 სავალდებულო კრედიტიდან:
ზოგადი სავალდებულო კურსები: 16 კრედიტი
საბაზისო სავალდებულო კურსები: 37 კრედიტი
პრეკლინიკური სავალდებულო კურსები: 42კრედიტი
კლინიკური სავალდებულო კურსები: 130 კრედიტი
სამეცნიერო უნარების სავალდებულო კურსები: 7 კრედიტი
თავისუფალი არჩევითი კურსები: 8 კრედიტი
ზოგადი სავალდებულო კურსები მოიცავს:
უცხო ენას (ქართული ენა, გერმანული ენა) - 1,2,3,4

საბაზისო სავალდებულო კურსები: ანატომია და ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია, სამედიცინო ბიოქიმია, საექთნო საქმის საფუძვლები, სამედიცინო სამართალი, ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგია, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები,

პრეკლინიკური სავალდებულო კურსები: ბიოეთიკა და საკომუნიკაციო უნარები, პათოლოგია, მიკრობიოლოგია და ზოგადი ჰიგიენა, საექთნო საქმის ფარმაკოლოგია, კლინიკური უნარჩვევები 1, კლინიკური უნარჩვევები 2, ჯანდაცვის ორგანიზაცია, ლიდერობა და მენეჯმენტი.

კლინიკური სავალდებულო კურსები: გადაუდებელი დახმარება, საექთნო საქმე შინაგან მედიცინაში 1,2, საექთნო საქმე პედიატრიაში 1,2. პალიატიური და ტერმინალური პაციენტის საექთნო საქმე, პსიქიატრიული და მენტალური ჯანმრთელობის საექთნო საქმე, საექთნო საქმე ქირურგიაში, საექთნო საქმე გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაში, საექთნო საქმე კრიტიკულ და ინტენსიურ თერაპიაში, საექთნო საქმე მეანობა და გინეკოლოგიაში, ინფექციური დაავადებები და პაციენტის, საექთნო პრაქტიკა პედიატრიაში, საექთნო პრაქტიკა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაში, საექთნო პრაქტიკა მეანობა და გინეკოლოგიაში, საექთნო პრაქტიკა შინაგან მედიცინაში, საექთნო პრაქტიკა კრიტიკულ და ინტენსიურ თერაპიაში, პერიოპერაციული საექთნო პრაქტიკა.

სამეცნიერო უნარების სავალდებულო კურსები: აკადემიური წერა, სამეცნიერო კვლევის მეთოდები და სოციოლოგია

თავისუფალი არჩევითი კურსები: ფილოსოფია, ალერგოლოგია საექთნო საქმეში, მედიცინის ისტორია, სასამართლო მედიცინა საექთნო საქმეში, ნარკოლოგიაში, დოპინგთან ბრძოლის საფუძვლები, თერაპიული მასაჟი, საექთნო საქმე სტომატოლოგიაში, ტკივილის მართვა საექთნო საქმეში, ნუტრიციოლოგია.

1კრ = 25 აკადემიური საათი.

ერთი აკადემიური წელი: 42 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 21 კვირა (მათ შორის: სასწავლო - 16; სასესიო - 3; დამატებითი გამოცდები - 2).

VI, VII, VIII სემესტრები – კურაციული სისტემით სწავლება.

პროგრამის მიზნები

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი, ეთიკური ღირებულებების მქონე და მაღალკვალიფიციური ექთნების მომზადება, რომლებიც ფლობენ თანამედროვე საექთნო მეთოდოლოგიას, ინტეგრირებულ თეორიულ ცოდნას, კლინიკურ აზროვნებას, კვლევით ხედვასა და პრაქტიკულ უნარებს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო, პაციენტზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საექთნო ზრუნვის განხორციელებას მრავალკულტურულ ჯანდაცვით გარემოში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამა მიზნად ისახავს:

- სტუდენტებში საექთნო პრაქტიკისათვის აუცილებელი ბიოსამედიცინო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნის განვითარებას;
- კლინიკური აზროვნების, კრიტიკული ანალიზის, პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარებას ხარისხიანი საექთნო ზრუნვის განსახორციელებლად სხვადასხვა ჯანდაცვით გარემოში;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის, კვლევითი უნარების, ანალიტიკური აზროვნებისა და ჯანდაცვითი ინფორმაციის ეფექტური გამოყენების ხელშეწყობას პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- პროფესიული პასუხისმგებლობის, ეთიკური ღირებულებების, ლიდერული უნარების, ავტონომიურობისა და lifelong learning-ის პრინციპებზე დაფუძნებული უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას;
- ეფექტური კომუნიკაციის, მულტიდისციპლინური თანამშრომლობისა და კულტურულად სენსიტიური საექთნო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობას მრავალკულტურულ გარემოში;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის, რეაბილიტაციისა და პაციენტის ინტერესების დაცვის მხარდაჭერას ინდივიდის, ოჯახის, საზოგადოების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტექსტში;

კურსდამთავრებულთა მომზადებას ჯანდაცვის სფეროში დასაქმებისა და შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარებისათვის.

სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული ფლობს ფართო და ინტეგრირებულ ცოდნას საექთნო საქმის პრინციპების, კონცეფციებისა და თეორიების, აგრეთვე საექთნო პრაქტიკისათვის აუცილებელი ბიოსამედიცინო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო, პაციენტზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საექთნო საქმიანობის განხორციელებას.

1.საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებები

კურსდამთავრებული:

- განმარტავს ადამიანის ორგანიზმის აგებულებასა და ფუნქციონირებას ანატომიის, ჰისტოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით;
- განმარტავს ფიზიოლოგიურ პროცესებს, მეტაბოლურ გზებს, ჰორმონულ რეგულაციასა და ჰომეოსტაზის შენარჩუნების მექანიზმებს;
- აანალიზებს იმუნური სისტემისა და მიკროორგანიზმების სტრუქტურას, ფუნქციასა და ურთიერთქმედებას ჯანმრთელობისა და დაავადების კონტექსტში;
- ხსნის მასპინძლისა და პათოგენის ურთიერთქმედებას, აგრეთვე ინფექციური და იმუნური პროცესების ბიოლოგიურ მექანიზმებს;
- ახდენს ბიოსამედიცინო ცოდნის ინტეგრირებას კლინიკურ აზროვნებასა და საექთნო პრაქტიკაში სხვადასხვა ჯანდაცვით გარემოში.

2.კლინიკური მეცნიერებები

კურსდამთავრებული:

- განმარტავს დაავადებების საფუძვლად არსებულ პათოლოგიურ მექანიზმებსა და მათ კლინიკურ გამოვლინებებს;
- ახდენს ეტიოლოგიის, პათოგენეზის, ეპიდემიოლოგიის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის პრინციპებისა და საექთნო ზრუნვის ინტეგრირებას თერაპიული და ქირურგიული პროფილის ზრდასრული და პედიატრიული პაციენტების მართვის პროცესში;
- იყენებს საექთნო მოვლის თეორიულ საფუძვლებს მწვავე, ქრონიკული, ინფექციური, გერიატრიული, ფსიქიატრიული, სამეანო-გინეკოლოგიური, ნეონატოლოგიური და კრიტიკული მდგომარეობების მქონე პაციენტების მართვისას;
- განმარტავს გადაუდებელი და კრიტიკული მდგომარეობების საექთნო მართვის ძირითად პრინციპებს;
- ფლობს ფარმაკოლოგიის საფუძვლებს, მათ შორის მედიკამენტების ძირითადი ჯგუფების, მოქმედების მექანიზმების, უსაფრთხო ადმინისტრირებისა და დოზირების გამოთვლის პრინციპების შესახებ ცოდნას;
- იყენებს ინფექციის პრევენციის, პაციენტის უსაფრთხოებისა და სამედიცინო ნარჩენების მართვის პრინციპებს კლინიკურ პრაქტიკაში;
- ახდენს კლინიკური ცოდნისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრირებას პაციენტზე ორიენტირებულ საექთნო ზრუნვაში სხვადასხვა ჯანდაცვით გარემოში.

3.ქცევითი და სოციალური მეცნიერებები

კურსდამთავრებული:

- განმარტავს საექთნო საქმის არსს, ისტორიულ განვითარებას, თეორიულ საფუძვლებსა და ექთნის პროფესიულ როლს თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში;
- იყენებს საექთნო პროცესის, პროფესიული ეთიკის, ბიოეთიკისა და საექთნო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების ცოდნას პაციენტზე ორიენტირებულ ზრუნვაში;

- განმარტავს ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის, კვების, დაავადებათა პრევენციის, სკრინინგისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზედამხედველობის პრინციპებს სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე;
- აანალიზებს ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ, განვითარების, კულტურულ, გენდერულ და ეთიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის, ოჯახის და საზოგადოების ჯანმრთელობაზე;
- განმარტავს საექთნო ლიდერობის, ჯანდაცვის მენეჯმენტის, პაციენტის განათლებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს;
- ფლობს ეპიდემიოლოგიის, კვლევის მეთოდოლოგიისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების საფუძვლებს საექთნო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკაში;
- აანალიზებს გლობალური ჯანმრთელობის, სოციალური უთანასწორობისა და ჯანდაცვის ეკონომიკის გავლენას ჯანდაცვის მომსახურებასა და პაციენტის შედეგებზე.

უნარები

1. საექთნო პროცესი

კურსდამთავრებული:

- ახორციელებს პაციენტზე ორიენტირებულ საექთნო კონსულტირებას პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში, ეფექტური კომუნიკაციისა და პაციენტის ავტონომიის პატივისცემის დაცვით;
- ატარებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტების კომპლექსურ საექთნო შეფასებას ბიო-ფსიქო-სოციალური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით;
- აანალიზებს, ინტერპრეტაციას უკეთებს და დოკუმენტურად ასახავს შეფასების შედეგად მიღებულ მონაცემებს, ახდენს არსებული და პოტენციური ჯანმრთელობის პრობლემების იდენტიფიცირებას და შესაბამისი საექთნო დიაგნოზების ფორმულირებას;
- შეიმუშავებს ინდივიდუალურ საექთნო მოვლის გეგმას, განსაზღვრავს გაზომვად შედეგებს და ახორციელებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საექთნო ინტერვენციებს პაციენტის კლინიკური საჭიროებების შესაბამისად;
- კოორდინაციას უწევს და უზრუნველყოფს უსაფრთხო, ეფექტურ და ჰუმანურ საექთნო ზრუნვას, პაციენტისა და მისი მომვლელების შესაბამისი განათლებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფით;
- აფასებს პაციენტის შედეგებსა და საექთნო ინტერვენციების ეფექტურობას უწყვეტი მონიტორინგის, კრიტიკული ანალიზისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გამოყენებით.

2.საექთნო უნარები

კურსდამთავრებული:

- ახორციელებს ძირითად საექთნო პროცედურებსა და კლინიკურ უნარებს უსაფრთხოდ და ეფექტურად პროფესიული სტანდარტების, პაციენტის უსაფრთხოებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების შესაბამისად;
- აფასებს და მონიტორინგს უწევს პაციენტის ფიზიოლოგიურ პარამეტრებს, მათ შორის სასიცოცხლო ნიშნებსა და ძირითად კლინიკურ მაჩვენებლებს, საექთნო გადაწყვეტილებებისა და პაციენტის მოვლის მხარდასაჭერად;
- ასრულებს მედიკამენტების ადმინისტრირების პროცედურებს, ზუსტად ითვლის მედიკამენტების დოზებს და იყენებს უსაფრთხო ფარმაკოლოგიური პრაქტიკის პრინციპებს;
- იყენებს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებს, მათ შორის ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესებს, ხელების ჰიგიენასა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებას;

- ასრულებს ძირითად ინვაზიურ და არაინვაზიურ საექთნო პროცედურებს სიმულაციური და კლინიკური სწავლების მიდგომების გამოყენებით;
- უზრუნველყოფს ჭრილობის მოვლას, რესპირატორულ მხარდაჭერას, ოქსიგენოთერაპიას, დრენაჟისა და სტომის მოვლას, კათეტერიზაციასა და სხვა აუცილებელ საექთნო ინტერვენციებს კლინიკური გაიდლაინებისა და პაციენტის საჭიროებების შესაბამისად;
- იყენებს პაციენტის ტრანსპორტირების, პოზიციონირების, გადაადგილებისა და ძირითადი მოვლის პრინციპებს პაციენტის კომფორტის, ღირსებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- იყენებს სამედიცინო მოწყობილობებს, კლინიკურ აპარატურასა და ძირითად დიაგნოსტიკურ პროცედურებს საექთნო კომპეტენციის ფარგლებში;
- აერთიანებს ტექნიკურ საექთნო უნარებს კლინიკურ აზროვნებასთან, პაციენტზე ორიენტირებულ კომუნიკაციასთან, ეთიკურ პრინციპებსა და მულტიდისციპლინურ თანამშრომლობასთან სხვადასხვა ჯანდაცვით გარემოში.

3.ტრანსფერული უნარები

კურსდამთავრებული:

- ახორციელებს სხვადასხვა აკადემიური და კლინიკური წყაროდან ინფორმაციისა და მონაცემების მოძიებას, ანალიზს, ინტერპრეტაციასა და სინთეზს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად;
- ავლენს დარგობრივი პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზისა და გადაჭრის უნარს კრიტიკული აზროვნებისა და სისტემური მიდგომების გამოყენებით აკადემიურ და კლინიკურ კონტექსტში;
- იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ციფრულ რესურსებს მონაცემთა შეგროვების, დოკუმენტირების, მოძიების, ანალიზისა და ეფექტური ინფორმაციის მართვის მიზნით;
- კრიტიკულად აფასებს აკადემიურ ლიტერატურას, კვლევის შედეგებსა და მონაცემებს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს და იყენებს მათ პროფესიულ პრაქტიკაში;
- ამუშავებს, სტრუქტურირებულად წარმოადგენს და წარადგენს აკადემიურ და კვლევით ნაშრომებს შესაბამისი სამეცნიერო, ეთიკური და კომუნიკაციური სტანდარტების დაცვით როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის.

4.პაციენტის, ოჯახის და საზოგადოების განათლება

კურსდამთავრებული:

- ეფექტურად ურთიერთობს პაციენტებთან, ოჯახთან და საზოგადოებასთან მტკიცებულებებზე დაფუძნებული განათლების, კლინიკური განმარტებებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მიწოდების გზით;
- შეიმუშავებს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის, საჭიროებების, კულტურული თავისებურებებისა და ინფორმაციის აღქმის დონის გათვალისწინებით;
- ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას პაციენტებისა და მათი მომვლელებისათვის მკაფიო, ზუსტი და ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდებით პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში.

5.გადაუდებელი დახმარება და პირველადი სამედიცინო დახმარება

კურსდამთავრებული:

- ამოიცნობს, აფასებს და მართავს გადაუდებელ სამედიცინო მდგომარეობებს სისტემური კლინიკური შეფასებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით;
- უზრუნველყოფს საბაზისო პირველადი დახმარების ღონისძიებების განხორციელებას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებში ასაკობრივი ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით სიმულაციურ და კლინიკურ გარემოში;

- ასრულებს ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი დახმარებისა (BLS) და კარდიოპულმონური რეანიმაციის (CPR) პროცედურებს თანამედროვე საერთაშორისო კლინიკური გაიდლაინებისა და პაციენტის უსაფრთხოების პრინციპების შესაბამისად;
- იყენებს ტრავმის დროს გადაუდებელი დახმარებისა და პაციენტის სტაბილიზაციის ღონისძიებებს დადგენილი კლინიკური პროტოკოლებისა და სიმულაციური სწავლების სტანდარტების საფუძველზე;
- ამოიცნობს და მართავს ანაფილაქსიურ შოკსა და სხვა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობებს დროული და შესაბამისი პირველადი დახმარების ღონისძიებების გამოყენებით საექთნო კომპეტენციის ფარგლებში.

6.პროფესიული კომუნიკაციის უნარები

კურსდამთავრებული:

- ეფექტურად ურთიერთობს პაციენტებთან, მათ მომვლელებთან, კოლეგებთან და მულტიდისციპლინური გუნდის წევრებთან უსაფრთხო, კოლაბორაციული და პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველსაყოფად;
- იყენებს შესაბამის კომუნიკაციურ სტრატეგიებს სენსიტიური და რთული ინფორმაციის მიწოდებისას პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში, ემპათიის, სიცხადისა და პატივისცემის დაცვით;
- ადაპტირებს კომუნიკაციის ფორმებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სპეციალური საჭიროებების მქონე პაციენტებისა და განსხვავებული სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური წარმომავლობის მქონე პირების საჭიროებების შესაბამისად;
- ახორციელებს ინფორმირებული თანხმობის მისაღებად აუცილებელ კომუნიკაციას ეთიკური, სამართლებრივი და პროფესიული სტანდარტების დაცვით;
- იყენებს კონფლიქტის პრევენციისა და მართვის სტრატეგიებს რთულ კლინიკურ და ინტერპერსონალურ სიტუაციებში;
- აწარმოებს ზუსტ, მკაფიო, დროულ და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამის წერილობით დოკუმენტაციასა და სამედიცინო ჩანაწერებს;
- ფლობს ტელეკომუნიკაციისა და ციფრული საკომუნიკაციო სისტემების ძირითად პრინციპებს თანამედროვე ჯანდაცვის პრაქტიკის კონტექსტში.

7.ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება საექთნო პრაქტიკაში

კურსდამთავრებული:

- იყენებს პროფესიულ საქმიანობაში ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN) ეთიკის კოდექსისა და საქართველოს ექთნების ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ ეთიკურ პრინციპებსა და პროფესიულ სტანდარტებს;
- უზრუნველყოფს პაციენტის კონფიდენციალურობის, პრივატულობის, ღირსებისა და უფლებების დაცვას საექთნო ზრუნვის ყველა ეტაპზე;
- ახორციელებს ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცესს პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში და აწარმოებს ზუსტ, ეთიკურ და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამის დოკუმენტაციას;
- იყენებს საექთნო საქმიანობასა და ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ და მარეგულირებელ ნორმებს;
- უზრუნველყოფს კულტურულად სენსიტიურ, ეთიკურ და პაციენტზე ორიენტირებულ საექთნო ზრუნვას მრავალფეროვან და მულტიკულტურულ ჯანდაცვით გარემოში.

8.მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისა და კრიტიკული აზროვნების გამოყენება

კურსდამთავრებული:

- იყენებს სამეცნიერო მტკიცებულებებს, კვლევის შედეგებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპებს კლინიკურ საექთნო საქმიანობასა და პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- იყენებს კლინიკურ აზროვნებას, კრიტიკულ ანალიზსა და სისტემურ მიდგომებს საექთნო პრობლემების შეფასების, პრიორიტეტიზაციისა და მართვისათვის;
- აფასებს საექთნო ინტერვენციებისა და პაციენტის შედეგების ეფექტურობას სტრუქტურირებული კლინიკური შეფასებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით;
- პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს პაციენტზე ორიენტირებული ინოვაციების დანერგვასა და მხარდაჭერაში ჯანდაცვის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.

9.სამეცნიერო კვლევა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევითი საქმიანობა

კურსდამთავრებული:

- იყენებს სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის პრინციპებს საექთნო პრაქტიკაში, აკადემიურ საქმიანობასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ჯანდაცვაში;
- შეიმუშავებს, გეგმავს და ახორციელებს საბაზისო კვლევით პროექტებს შესაბამისი კვლევითი მეთოდებისა და სისტემური მიდგომების გამოყენებით;
- აანალიზებს, ინტერპრეტაციას უკეთებს და აერთიანებს კვლევით მონაცემებსა და სამეცნიერო ლიტერატურას მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნებისა და პროფესიული გადაწყვეტილებების ფორმულირების მიზნით;
- ამუშავებს აკადემიურ და კვლევით ნაშრომებს სამეცნიერო წერის სტანდარტებისა და კრიტიკული ანალიზის პრინციპების დაცვით;
- იყენებს სტატისტიკისა და ბიოსტატისტიკის პრინციპებს ჯანდაცვასთან დაკავშირებული მონაცემებისა და კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის პროცესში;
- იცავს სამეცნიერო კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლიანი აკადემიური საქმიანობის პრინციპებს პროფესიულ და საგანმანათლებლო გარემოში.

10.აქტიური საქმიანობა ჯანდაცვის სისტემაში

კურსდამთავრებული:

- მონაწილეობს გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული საექთნო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომების გამოყენებით;
- აფასებს და აკონტროლებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და პროფესიულ კეთილდღეობას უსაფრთხო და ეფექტური საექთნო საქმიანობის უზრუნველსაყოფად;
- მონაწილეობს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პაციენტის განათლების ღონისძიებებში ინდივიდის, ოჯახის და საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით;
- ახორციელებს ოჯახის, სოციალური და გარემო ფაქტორების კომპლექსურ შეფასებას საზოგადოებრივი და ბინაზე ზრუნვის მომსახურების განხორციელებისას;
- მონაწილეობს საზოგადოებაზე ორიენტირებულ, პრევენციულ და პაციენტზე ორიენტირებულ ჯანდაცვით აქტივობებში სხვადასხვა ჯანდაცვით გარემოში.

11.საექთნო ლიდერობა და მენეჯმენტი

კურსდამთავრებული:

- ავლენს ლიდერულ უნარებს, ანგარიშვალდებულებასა და პროფესიულ პასუხისმგებლობას საექთნო პრაქტიკასა და ჯანდაცვით გარემოში;
- იყენებს ფუნქციების დელეგირების პრინციპებს პროფესიული სტანდარტების, სამართლებრივი მოთხოვნებისა და გუნდის წევრთა კომპეტენციის შესაბამისად;

- მართავს და კოორდინაციას უწევს საექთნო პროცესს უსაფრთხო, სისტემური და პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველსაყოფად;
- თანამშრომლობს და კოორდინაციას უწევს მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობას პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში ინტეგრირებული პაციენტზე ზრუნვის მიზნით;
- მონაწილეობს მცირე მასშტაბის ჯანდაცვითი და ხარისხის გაუმჯობესების პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და ინსტრუქციების საფუძველზე;
- აფასებს საექთნო და ჯანდაცვითი მომსახურების ხარისხსა და ეფექტურობას დადგენილი ხარისხის ინდიკატორების, შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით.

12.პროფესიონალიზმი (ღირებულებები, ქცევა და დამოკიდებულება)

კურსდამთავრებული:

- ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულებას, ეთიკურ ქცევასა და საექთნო პრაქტიკის მაღალი სტანდარტებისადმი ერთგულებას;
- მონაწილეობს უწყვეტ თვითგანვითარებაში, lifelong learning-ის პროცესში და ხელს უწყობს გუნდის წევრთა პროფესიულ განვითარებას;
- იცავს და მხარს უჭერს პაციენტის, ოჯახის, საზოგადოების და ჯანდაცვის პროფესიონალების ღირსებას, ავტონომიას, უფლებებსა და კეთილდღეობას;
- ახორციელებს საკუთარი და სხვათა პროფესიული საქმიანობის კრიტიკულ ანალიზსა და ობიექტურ შეფასებას ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესიული განვითარების მიზნით;
- ავლენს პატივისცემას კულტურული მრავალფეროვნების, ინდივიდუალური განსხვავებების, ინკლუზიისა და თანასწორობის მიმართ პროფესიულ და კლინიკურ პრაქტიკაში;
- აერთიანებს პროფესიულ ღირებულებებს, ემპათიას, კეთილსინდისიერებასა და პაციენტზე ორიენტირებულ დამოკიდებულებებს საექთნო ზრუნვასა და მულტიდისციპლინურ თანამშრომლობაში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- ავლენს პასუხისმგებლობას უსაფრთხო, ეთიკური, პაციენტზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საექთნო პრაქტიკის განხორციელებაზე სხვადასხვა ჯანდაცვით გარემოში;
- იყენებს პროფესიული ქცევის კოდექსებს, ეთიკურ პრინციპებსა და სამართლებრივ ნორმებს კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და პაციენტზე ზრუნვის პროცესში;
- აცნობიერებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს შესაბამის ზედამხედველობას, კონსულტაციას ან მულტიდისციპლინურ მხარდაჭერას;
- პრიორიტეტს ანიჭებს პაციენტის უსაფრთხოებას, ზრუნვის ხარისხსა და რისკების მართვას რუტინულ, რთულ და გადაუდებელ კლინიკურ სიტუაციებში;
- დამოუკიდებლად აფასებს პაციენტის საჭიროებებს სისტემური კლინიკური აზროვნებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით;
- შეიმუშავებს, ახორციელებს, აფასებს და საჭიროებისამებრ ცვლის საექთნო ზრუნვის გეგმას პაციენტის შეფასებისა და პროფესიული გაიდლაინების საფუძველზე;
- ავტონომიურად ასრულებს საექთნო ინტერვენციებს პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში და იღებს პასუხისმგებლობას შესაბამის კლინიკურ შედეგებზე;
- ასაბუთებს კლინიკურ გადაწყვეტილებებს სამეცნიერო მტკიცებულებების, პროფესიული სტანდარტებისა და კრიტიკული აზროვნების პრინციპების გამოყენებით;

- იცავს ეთიკურ პრინციპებს, მათ შორის პაციენტის ღირსებას, კონფიდენციალურობას, ავტონომიასა და ინფორმირებული თანხმობის უფლებას პროფესიული ურთიერთობების ყველა ეტაპზე;
- ავლენს საკუთარი სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირების, რეფლექსიური პრაქტიკისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარს;

ეფექტურად მართავს დროს, პრიორიტეტებსა და კლინიკურ დატვირთვას დინამიკურ და მულტიდისციპლინურ ჯანდაცვით გარემოში.

დასაქმების სფერო

საექთნო საქმის ბაკალავრს შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში, (კლინიკები, პირველადი ჯანდაცვის რგოლი - ამბულატორია, რეაბილიტაციის ცენტრები და სხვ.), შინმოვლის სამსახურში, ანტიდოპინგური სააგენტოში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში.
მათ შეუძლიათ იმუშაონ პაციენტებთან როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინტერდისციპლინურ გუნდთან ერთად.